



სამუშაო შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში
ახალციხე, 2015 წლის 28 მარტი

სესია შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები

მოდერატორი : ირინე საგანელიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

რეპორტიორი : ირინა მუმლაძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურის პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომელი

მონაწილეები:

მარინა მერაბიშვილი, ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი

ნანა ნათენაძე, ა.ა.ი.პ. „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ. ახალციხის სამხატვრო სკოლის დირექტორი

მიხეილ ნარიმანიშვილი, ხელოვანი, არქიტექტორი, დიზაინერი

ზაურ კვატაშიძე, ა.ა.ი.პ. ადიგენის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე

ჯაბა ასპანიძე, ა.ა.ი.პ. „სამცხეს“, დირექტორი

იურა ბერიძე, ა.ა.ი.პ. „წუნდას“ დირექტორი

თამაზ მელიქიძე, ა.ა.ი.პ. ასპინძის ბავშვთა და მოზარდთა საესტრადო სტუდიის „იმედი“-ს დირექტორი

შეხვედრას, რომელსაც ესწრებოდნენ კულტურის სფეროს წარმომადგენლები ახალციხის მუნიციპალიტეტიდან, ასევე, ახალციხის ადიგენისა და ასპინძის ფოლკლორული ანსამბლების ხელმძღვანელები, საუბარი შეეხო ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა, ერთი მხრივ, რეგიონში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საჭირო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მეორე მხრივ, ხალხური რეწვის ნიმუშების რეალიზაციისათვის საჭირო ბაზრის არარსებობა, მწირი გამოცდილება შემოქმედებითი პროდუქტის რეალიზაციისა და პოპულარიზაციის კუთხით. საუბრისას ასევე გამოიკვეთა რეგიონში კულტურის კერების არარსებობა, გაუმართავი ბიბლიოთეკები, მოსაწესრიგებელი სახელფასო პოლიტიკა.

დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები :

- ინფრასტრუქტურის მოუნესრიგებლობა, არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ხელს უშლის უნიკალურის ფოლკლორული ტრადიციების განვითარებას
- ტრადიციული ქართული რენვის განვითარების კუთხით მეტი ინფორმირებულობა, რენვის ოსტატებისათვის მასტერ კლასების ჩატარება, კონსულტაციების განწევა
- მოშლილი ინფრასტრუქტურა და გაუმართავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც აფერხებს რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარებას.
- დაბალი ბიუჯეტი, მწირი სახელფასო ფონდი.
- კონტაქტების ნაკლებობა შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისა და რეგიონის კულტურული ცხოვრების პოპულარიზაციის კუთხით.
- ახალგაზრდობის დაბალი ჩართულობა კულტურულ პროცესებში
- საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობა კულტურული ცხოვრების ამალღების კუთხით.

განსახორციელებელი ქმედებები :

- შესაძლებლობების ფარგლებში კულტურული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოუნესრიგება ეტაპობრივად
- მეტი კონტაქტის დამყარება ცენტრსა და რეგიონს შორის
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან პროფესიული რჩევებისა და კონსულტაციების განწევა
- სამინისტროსა და რეგიონების კულტურულ ობიექტებს შორის კონტაქტების გაღრმავება,
- ტრადიციული რენვის კუთხით ხელშეწყობა, მასტერკლასებისა და გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა, კონტაქტების დამყარება
- ახალგაზრდობის ჩართულობა, მეტი ინფორმირებულობა, ინტერესის გაღრმავება
- შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად
- რეგიონების კულტურული ღირშესანიშნაობების, შემოქმედებითი რესურსისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით შემოქმედებითი, შემოსავლებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება.
- რეგიონებში არსებული კულტურული პოტენციალისა და პრობლემების გათვალისწინებით პრიორიტეტების განსაზღვრა, აქტივობების სწორი დაგეგმვა.